

ვინ არიან სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები?

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ (სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის I ნაწილი). სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო, საჯარო სამართლის იურიდიული პირები (პოლიტიკური პარტიები, რელიგიური გაერთიანებები, თვითმმართველოები და სხვა) მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები (კავშირი, შპს, სს და ა.შ.), მაგრამ მათი შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება სპეციალური კანონებით.

კერძო სამართლის იურიდიული პირები ორ ძირითად სახედ იყოფიან: სამენარმეო და არასამენარმეო. არასამენარმეო იურიდიული პირებია კავშირი (ასოციაცია) და ფონდი, რომლის საქმიანობის მიზანს არ შეადგენს სამენარმეო საქმიანობა. კავშირი ან ფონდი შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოების აქციონერი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი, ეი. ასორციელედეს სამენარმეო საქმიანობას, მაგრამ კანონის მოთხოვნაა, რომ მათთვის სამენარმეო საქმიანობა მხოლოდ დამხმარე ხასიათს უნდა ატარებდეს, ექმსაზღვრებოდეს საერთო მიზანს და ამით არ უნდა შეიცვალოს მათი არაკომერციული ხასიათი. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება კავშირის წევრებსა და ფონდის შემომწირველებს შორის დაუშვებელია (30-ე მუხლის I ნაწ.). კავშირის დაფუძნებისა და საქმიანობის შეწყვეტის რეგისტრაცია ხდება სასამართლოში, ხოლო ფონდის დაფუძნებისა და საქმიანობის შეწყვეტის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. კავშირისა და ფონდის შექმნის, საქმიანობის განხორციელების და შეწყვეტის წესები მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსით (30-49-ე მუხლები). სამენარმეო იურიდიული პირების სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის დაფუძნების, მათი საქმიანობის განხორციელებისა და შეწყვეტის წესი და პირობები კი მოწესრიგებულია სპეციალური კანონით „მენარმეთა შესახებ.“

რაარის სამეწარმეო საქმიანობა?

სამენარმეო საქმიანობა არის არაერთფერადი და მართლზომიერი (კანონიერი) საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. ამ განმარტების თანახმად, სამენარმეო საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას. ის საქმიანობა, რომელიც საქართველოს კანონებით იკრძალება, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალებების, სხვა ძლიერმოქმედი ნოვთიერებების უკანონო დამზადება, შექენა, შენახვა, გადაზოდეა და ა.შ., არ შეიძლება იყოს მიჩნეული სამენარმეო საქმიანობად. კანონით ნებისდართული საქმიანობა სამენარმეოდ რომ იქნას მიჩნეული, იგი აუცილებლად უნდა ატარებდეს არაერთფერადი საქმიანობის ხასიათს, რომელიც ორიენტირებული იქნება მოგების მიღებაზე. მენარმეს მოგების მიღების სურვილი უნდა ჰქონდეს, თუმცა, პრაქტიკულად იგი თავისი საქმიანობით მიიღებს თუ არა მოგებას, ეს სამენარმეო საქმიანობის იურიდიული კვალიფიკაციისთვის არ არის გადაშწყვეტი. მენარმე თავისი საქმიანობის თაობასთან დაკავშირებულ საკითხებს დამოუკიდებლად წყვეტს; სამენარმეო საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვა კი იმას ნიშნავს, რომ მენარმემ უნდა შეარჩიოს კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. მას უნდა ჰქონდეს მმართველობის ორგანო, დანიშნოს დირექტორი და სხვა.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნულია, რომ სამენარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სააუდიციწო, არქიტექტურული, საადვოკატო და სანოტარო, საჟიდტრო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა. მაგალითად, ექიმის მოღვაწეობა მის პირად შრომასზეა დაფუძნებული და ამიტომ არ ითვლება მენარმეობად. ადვოკატის ან საგადასასადო კონსულტანტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ წარმოადგენს მენარმეობას, რადგან ეს პირები

გასამრჯელოს იღებენ პირადი შრომისათვის და არა მოგების სახით. მაგრამ თუ ამ მუხლში ჩამოთვლილ საქმიანობას ასორციელებს არა ფიზიკური პირი, არამედ იურიდიული პირი, მაშინ მის მიერ განხორციელებული საქმიანობა ჩაითვლება მენარმეობად. მაგალითად, თუ ადვოკატები დააფუძნებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, ამ საზოგადოების საქმიანობა უნდა მოწესრიგდეს „მენარმეთა შესახებ“ კანონით.

რიეორია სწარმოთა ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმები და რიეორქნდა დეაფუფნოთ ისინი?

ცნობილია შემდეგი სახის სანარმოთა ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმები: ინდივიდუალური სანარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი.

სამენარმეო სანარმო იურიდიული პირის სტატუსს იძენს მხოლოდ სასამართლოს მიერ რეგისტრაციის შედეგად. სარეგისტრაციოდ წარდგენილი ფაქტები ჩაიწერება სამენარმეო რესტრში. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამენარმეო რესტრს და მიიღოს რესტრის ამონაწერები.

მენარმემ სანარმოს დაფუძნებისათვის უნდა განახორციელოს შემდეგი სახის მოქმედებები: ჯერ შეარჩიოს, თუ რომელი ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს სანარმო; შემდეგ შემუშავებულ უნდა იქნას საზოგადოების წესდება, რომელიც ძირითადი დოკუმენტია; წარმოადგინოს პარტნიორთა შეთანხმება (ხელშეკრულება) მათი უფლება-მოვალეობების და საზოგადოების საქმიანობის შესახებ. წესდებაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. საზოგადოების ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმა და საფორმო სახელწოდება (მაგ, შპს „თავთვი“);
2. საზოგადოების ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი ანუ ოფისის მდებარეობა, მაგ, „ჭავჭავაძის 14“);
3. ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, პიოფესია და საცხოვრებელი ადგილი. კოოპერატივის წესდებაში საკმარისია ორი დამფუძნებლის მითითება. თუ პარტნიორი იურიდიული პირია, მაშინ უნდა მიეთითოს მისი ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმა, საფირმო სახელწოდება და რეგისტრაციის მონაცემები (კერძოდ, იურიდიული მისამართი), სასამართლოს დასახელება, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა იურიდიული პირი, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, წარმომადგენლის მონაცემები;
4. საზოგადოების საქმიანობის საგანი;
5. მონაცემები სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ;
6. სანქსადებო კაპიტალის ოდენობა და მისი შეცვების ფორმა (ფულადი ან არაფულადი), საბუთი შესრულებული შენატანის შესახებ;
7. ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა, ფორმა (ფულადი თუ არაფულადი), საბუთი განხორციელებული შესატანის თაობაზე და თითოეული პარტნიორის წილი;
8. სააქციო საზოგადოების წესდებაში მითითებული უნდა იყოს აქციათა სახეები და მათი ნომინალური ღირებულება. სამენარმეო საზოგადოების წესდებაში ზემოაღნიშნული მე-5 და მე-6 პუნქტები გათვალისწინებული უნდა იქნას მხოლოდ შპს-ისა და ს/ს-ის დაფუძნებისას.

საზოგადოების წესდების საკითხებზე შეთანხმების შემდეგ მოწვეულ უნდა იქნას პარტნიორთა საერთო კრება, რომელზეც ირჩევენ ხელმძღვანელობისა და მმართველობის ორგანოებს (მაგ. შპს-ს დირექტორს, ს/ს-ის სამეთვალყურეო საბჭოს და სხვა). საზოგადოების წესდება და პარტნიორთა კრების ოქმი სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს. ამ დოკუმენტების გარდა, სასამართლოში შეტანილ უნდა იქნას განცხადება რეგისტრაციის შესახებ. ეს განცხადება სასამართლოში შეიტანება ინდივიდუალური მენარმის, ან საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით. ინდივიდუალური მენარმე და ის პირი, რომელმაც უნდა წარმოადგინოს საზოგადოება (დირექტორი), ვალდებულია, სასამართლოში დატოვოს ხელმოწერის ის ნიმუში, რომელსაც საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებენ. ხელმოწერის ნიმუშიც სანოტარო წესით დამოწმებას საჭიროებს.

საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ განცხადება შედგენილ უნდა იქნას წესდების მიხედვით. თუ საზოგადოებას ესაჭიროება სანქსადებო კაპიტალი, ზემოაღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად

სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნას სანქსადებო კაპიტალის შეტანის დამადასტურებელი საბუთი, არაფულადი შესატანით დაფუძნებისას კი — შესატანის შეფასების დამადასტურებელი საბუთი (აუდიტის დასკვნა).

სასამართლო ვალდებულია რეგისტრაცია განახორციელოს აუცილებელი საბუთების წარდგენიდან თხუთმეტი კალენდარული დღის განმავლობაში. თუ ამ ვადაში რეგისტრაცია არ განხორციელდება ან განმცხადებელს წერილობით არ ეცნობება მოტივირებული უარის შესახებ, სანარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად და სასამართლო ვალდებულია, განმცხადებლის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გასცეს სარეგისტრაციო მონშობა („მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-5.9 მუხლი).

რამდენხანს გრძელდება სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობა

და რიეორხდება სწარმოს ლიკვიდციან გარდაქნან მერწყმან გაყოფა ნატურით?

სამენარმეო საზოგადოება შეიძლება დააფუძნონ განსაზღვრული, ან განუსაზღვრელი ვადით. თუ წესდებაში არ არის მითითებული ხანგრძლივობა, საზოგადოება ითვლება განუსაზღვრელი ვადით შექმნილად. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების ლიკვიდაცია დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებიდან გასვლის შესახებ განაცხადებენ მმათა 50%-ზე მეტის მფლობელი პარტნიორები. შპს-სა და ს/ს-ში დაუშვებელია საზოგადოების დაშლა ერთი პარტნიორის მიერ. ლიკვიდაცია მოხდება, თუ ამაზე გადანყვეტილება მიიღებენ 50%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე სანქსადებო კაპიტალის მფლობელები.

პარტნიორებს შეუძლიათ ერთი ფორმის საზოგადოება გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად წილობრივი ურთიერთობებისა და საქმიანობის საგნის შენარჩუნებით. მაგალითად შპს „ნალი“, რომლის საქმიანობის საგანია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, შეიძლება რეორგანიზებულ იქნეს სააქციო საზოგადოებად „ნალი“, რომელსაც საქმიანობის იგვე საგანი ქვება და იგივე დამფუძნებლები ეყოლება შესაბამისი წილებით (აქციებით). კანონით გათვალისწინებულია, ასევე, სამენარმეო საზოგადოების გაყოფა, როდესაც ერთი იურიდიული პირს გაყოფით იქმნება ორი ან რამდენიმე სამენარმეო სანარმო (4.6-ე მუხლი).

სანდაზმულობან გასაჩივრების ვადები

სამენარმეო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების სანდაზმულობის ვადა არის ხუთი წელი მათი წარმოშობიდან. პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადანყვეტილება არ შეიძლება გასაჩივრდეს კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ.

ფილიპლის ცნება. სანარმოს უფლება აქვს დააარსოს ფილიალი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. ფილიალის გახსნის უფლება საქართველოში აქვს საზღვარგარეთ რეგისტრირებულ სანარმოსაც. ფილიალის შექმნის შესახებ ეცნობება სანარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს, რომელიც რეგისტრაციისათვის საბუთებს უგზავნის იმ სასამართლოს, რომლის ტერიტორიის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს საქმიანობა. ფილიალის რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: 1. სანარმოს მმართველობის ორგანოთა გადანყვეტილება ფილიალის შექმნის შესახებ; 2. ფილიალის საქმიანობის მოკლე აღწერა; 3. სანარმოს წესდების ასლი; 4. გადანყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ, ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე; 5. სანარმოს რეგისტრაციის დაამადასტურებელი ცნობა. ფილიალის ხელმძღვანელის ხელმოწერის ნიმუში წარდგენილ უნდა იქნას ფილიალის მარეგისტრირებელ სასამართლოში.

ინდივიდუალური მეწარმე

ინდივიდუალური მენარმე არ არის იურიდიული პირი. იგი, როგორც ინდივიდუალური სანარმოს მფლობელი, წარმოადგენს

ფიზიკურ პირს, რომლის სამენარმეო საქმიანობისათვის აუცილებელია სასამართლოში რეგისტრაცია და სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით. მას უნდა ჰქონდეს სათანადო საბუღალტრო ჩანაწერები. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი, იგი სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომლებიც სამენარმეო იურიდიულ პირს აქვს. იგი შეიძლება იყოს მსხვილი სანარმოს მესაკუთრე.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ამ საზოგადოების პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები, რომლებიც საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც უშუალოდ სოლიდარული მოვალეები, შეუზღუდავად, მთელი თავიანთი ქონებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვალების გადასახდელად კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს პარტნიორების საკუთარი საცხოვრებელი სახლის, ავტომანქანის და სხვა ქონების დაყადალება და გაყიდვა. ამიტომაა, რომ ამ საზოგადოების პარტნიორებს შორის ურთიერთობები მხოლოდ განსაკუთრებულ ნდობაზე უნდა იყოს დაამყარებული, რადგან ერთი პარტნიორის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებისათვის (ვთქვათ, ხელშეკრულების დადებისათვის) პასუხისმგებლობა დაეკისრება დანარჩენ პარტნიორებსაც. ამიტომაა, რომ საზოგადოების საქმიანობის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადამწყვეტა უნდა მოხდეს პარტნიორთა კრებაზე (22-ე მუხლი). სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ, ამ საზოგადოების სახელით დადონ გარიგებები, შესარულიონ სხვა იურიდიული მოქმედებები, მაგრამ წესდებით შეიძლება მხოლოდ ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ პარტნიორს დაეკისროს ასეთი უფლებამოსილება. თუ პარტნიორი არ არის საზოგადოების ხელმძღვანელი, უფლება აქვს, პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმიანობას, შეამოწმოს საზოგადოების წიგნები და საბუთები. მას უფლება აქვს, მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებული მოვალეობების შესრულება და ამ შესრულების გამო საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი (24-ე მუხლი).

ყოველ პარტნიორს წლიური მოგებიდან ეკუთვნის წილი, რომელიც განისაზღვრება მისი წილი კაპიტალის 4%-ის ოდენობით. თუ წლიური მოგება არ არის მისთვის საკმარისი, წილი შესაბამისად, განისაზღვრება უფრო დაბალი პროცენტით. პარტნიორს უფლება აქვს, გაასვდესო თავისი წილი კაპიტალი დანარჩენ პარტნიორების წინასწარი თანხმობით, ან იმ შემთხვევაში, თუ წესდებით დაშვებულია გასწესება. წილის გასწესება უნდა მოხდეს სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებით, რომელშიც მითითებული იქნება ყველა დანარჩენი პარტნიორის თანხმობა. თუ წილის გასწვისების ხელშეკრულებაში არ არის აღნიშული ასეთი თანხმობა, იგი მიჩნეულ უნდა იქნას ბათილად.

კომანდიტური საზოგადოება

კომანდიტური საზოგადოების პარტნიორები არიან კომანდიტი და კომპლემენტარი. კომანდიტის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება, ხოლო კომპლემენტარის, ანუ პერსანალურად პასუხისმგებელი პარტნიორის პასუხისმგებლობა არ არის შეზღუდული. კომპლემენტარი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, ხოლო კომანდიტი — როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. კომანდიტურ საზოგადოებაში კომანდიტი, კომპლემენტარისგან განსხვავებით, საზოგადოების ვალდებულებებისათვის მთელი თავისი ქონებით კი არ კისრულობს პასუხისმგებლობას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ შეტანილი კონკრეტული თანხის ფარგლებში. „მენარმეთა შესახებ“ კანონის 371-ე მუხლის თანახმად, კომანდიტები არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში. მათ არ შეუძლიათ გამოვიდნენ ჩვეულებრივი სანარმოო საქმიანობის ფარგლებში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების მიერ განხორციელებული მოქმედების წინააღმდეგ. თუ მოქმედება სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ სანარმოო საქმიანობას, საჭიროა პარტნიორთა კრების გადანყვეტილება. კომანდიტის წილი შეიძლება გასწვისდეს და მექვიდრობით გადაიცეს სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. წილის დათობბა უნდა მოხდეს სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებით.

